899.969
ʒ 15

ژاله‌ی قزوینی



ჯ-ა 89
899.969
ს 15

ილია ჭავჭავაძე

სასტუმრო

1000000000051



„ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემა
თბილისი — 1962

26 1963

ამოკრებილია

ბ ო ტ რ ი ს კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს მ ი ე რ

წინასიტყვაობა

> გრძელი სიტყვა მოკლედ
> ითქმის, შაირია ამად კარგი.
> შოთა რუსთაველი.

სხარტულა და აფორიზმი — მოსწრებული თქმაა, რომელშიაც გადმოცემულია ხალხის სიბრძნე, სხარტად ნათქვამი, საუკუნოების დაკვირვების შედეგი.

აფორიზმები, როგორც ჩუქურთმები, ისე ამშვენებენ ადამიანის ნააზრევს და ამდიდრებენ კიდევაც მას. ხალხს უყვარს სიბრძნის შემცველი მოსწრებული, მახვილი გამოთქმები, რომელსაც ხშირად იყენებს, როგორც ზეპირი მეტყველების ისე წერითი მუშაობის დროს.

26 1963

ამოკრებილია

ბ ო ტ რ ი ს კ ა ნ დ ე ლ ა კ ი ს მ ი ე რ

წინასიტყვაობა

> გრძელი სიტყვა მოკლედ
> ითქმის, შაირია ამად კარგი.
> შოთა რუსთაველი.

სხარტულა და აფორიზმი — მოსწრებული თქმაა, რომელშიაც გადმოცემულია ხალხის სიბრძნე, სხარტად ნათქვამი, საუკუნოების დაკვირვების შედეგი.

აფორიზმები, როგორც ჩუქურთმები, ისე ამშვენებენ ადამიანის ნააზრევს და ამდიდრებენ კიდევაც მას. ხალხს უყვარს სიბრძნის შემცველი მოსწრებული, მახვილი გამოთქმები, რომელსაც ხშირად იყენებს, როგორც ზეპირი მეტყველების ისე წერითი მუშაობის დროს.

აფორიზმებს იყენებენ მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში; დიდი მწერლები თავადაც ქმნიან სიბრძნის შემცველ აფორიზმებს, რომლებიც ფართოდ ვრცელდება ხალხში.

ილია ჭავჭავაძე, ისე როგორც ყველა დიდი მწერალი, თავისი შემოქმედების წყაროს ხალხურ სიბრძნეში, ანდაზებსა და მოსწრებულ გამოთქმებში ეძებდა, ხშირად იყენებდა რა მათ თავის ნაწარმოებებში; ამავე დროს, თავადაც ქმნიდა გონიერ აფორიზმებს და სხარტულებს.

ილიას ნაწერებში უხვად არის გაბნეული მახვილი გამოთქმები და აფორიზმები, როგორც მსოფლიო კლასიკოსების ნაწერებიდან, ისე თვითონ ილიას მიერ შექმნილი.

ილია ჭავჭავაძე დაკვირვებით ჰკრეფდა ძველი ძეგლებიდან ბრძნულ გამონათქვამებს, მახვილგონივრულ აფორიზმებსა და სენტენციებს. ილია ჭავჭავაძე,

იყენებდა ამ გამონათქვამებს და ხელს უწყობდა მათს პოპულარიზაციას. მეორე მხრით, საკმაო მოზრდილ ადგილს უთმობდა მათ თავის მხატვრულ-პუბლიცისტურსა და სამეცნიერო-პოლემიკურ თხზულებებში. ამ ბრძნული გამონათქვამების მარჯვე და ოსტატური გამოყენებით იგი ტექსტს ჰმატებდა შინაარსობრივ-აზრობრივ ძლიერებას. აზრს კიდევ უფრო ბასრს, მახვილსა და მკაფიოს ხდიდა, ამძაფრებდა პოლემიკურ ტონს, ამდიდრებდა მხატვრულ მხარეს და საკმაოდ ეფექტურ შედეგს აღწევდა. ხშირ შემთხვევაში ილია უცვლელად იყენებდა ძველ მწერალთა გამონათქვამებს, ზოგჯერ კი თავისუფლად ეკიდებოდა და ცვლიდა, მაგრამ მათ შინაარსობრივ-აზრობრივ მხარეს არ არღვევდა.

ზოგჯერ ილია ბრძნულ გამონათქვამს სახეს უცვლიდა ახალ იერს აძლევდა ისე, რომ ძველ სულსა და სურნელებას არ

უკარგავდა; ავრცობდა ან ამოკლებდა, მაგრამ ავტორის სახელს სათანადო ადგილას გამოაჩენდა, ზოგჯერ ილიას ნაწერებში ასეთ გამონათქვამებს ავტორთა დაუსახელებლადაც ვხვდებით. აი, მაგალითად, ილიას მე-5 ტომში ვკითხულობთ: „თუ ყამს ხელთ აქვს ისარიო, შენცა ხელთ გქონდეს ფარიო“ (გვ. 334).

ეს არის სახეშეცვლილი სიტყვები „ქილილა და დამანას“ კანონიკური რედაქციისა: „თუ შენა გაქვს — ყე ისარი, მეცა მიპყრია ფარიაl“ (ქილილა და დამანა, ,1886 წ., გვ. 521; 1949 წ., გვ. 550). სხვა შემთხვევაში ილია პირდაპირ ასახელებდა ამ სიტყვების წყაროს (საანდაზო ლექსები, გვ. 76).

ილიას სიტყვები: არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს, და ხალხს შესწიროს დღენია მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ სახელი არ დარჩენია (ტ. 1, გვ. 195).

უნებურად გვაგონებს „ქილილა და დამანას“ სიტყვებს: კაცი სახელის მძებნე-

ლი, უკვდავად შემირაცხია, მკვდრად იგი თქმულა, ვის კაი სახელი ზედ არ აცხია“ („ქილილა და დამანა“, 1886 წ., გვ. 81);

ჯერ კიდევ 1935 წელს შენიშნა პოეტმა ი. გრიშაშვილმა, რომ ილიას სიცოცხლეში გამოცემულ ტექსტში (თხზ., 1, 1892 წ., გვ. 210) სიტყვები ბრჭყალებში იყო ჩასმული. აგრეთვე ცალკე წიგნად გამოცემული პოემის ტექსტშიც (ი. ჭავჭავაძე, „მეფე დიმიტრი თავდადებული“, 1908 წ., გვ. 29).

წინამდებარე წიგნაკში მოთავსებული სხარტულები და აფორიზმები ამოკრებილია ილიას ათტომეულიდან, ყველა აფორიზმის ბოლოს აღნიშნულია ტომი და გვერდი, საიდანაც იგი იქნა ამოწერილი.

ვფიქრობთ ამ პატარა კრებულსაც შეუძლია გარკვეული სამსახურის გაწევა ილია ჭავჭავაძის შემოქმედების ფართო პოპულარიზაციის საქმეში.

ბორის კანდელაკი.

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუ-
თანი, რომე აჩეჩოს მარტო მიწა-
ნი და არ მოსთხრიდეს ძირით იმ
ბალახს, რომელიც უშლის .თესლ-
სა ამოსვლას? ტ. I, გვ. 14

ავი კაცი რამოდენადაც მეცნიე-
რია და დიდად სწავლული, იმო-
დენად უფრო ძლიერ საშიშარია,
უფრო დიდად მავნებელია.
ტ. IV, გვ. 293

ათი-ათასჯერ არაფერი მაინც
არაფერია; ტ. III, გვ. 14

ამიტომ ვამბობ, რომ ცოდნა თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრეზეა მეთქი, მერე იმისთანა სიმდიდრეა, რომ რაც უნდა ბევრს დაურიგო, ბევრს გაუწილადო, შენ არა დაგაკლდება-რა, თუ არ მოგემატება. ტ. V, გვ. 290

არა გვგონია, იმ ცრემლზედ უტკბესი რამ იყოს ქვეყანაზედ, როცა იგი ჰყონავს ბედნიერებისა და სიხარულის ნამეტანობისაგან, და იმ სიცილზედ უმწარესი რამ, როცა კაცი ტირილით ჰხარხარებს უბედურებისა და მწუხარების სავსებისაგან. აი ეს ცრემლიანი სიცილი და სიცილიანი ტირილი არის იგი უზენაესი სიტკბოება, რომლის ფრთებითაც ჭეშმარიტი და უდიდესი ხელოვნება ადამია-

ნისა თავის უმწვერვალეს სიმაღ-
ლეზედ აზიდავს ხოლმე კაცსა...
ტ. III, გვ. 118

არ არის მკვდარი, ვინც მოჰკვ-
დეს და ხალხს შესწიროს დღენია.
მკვდრად ის თქმულა, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია. ტ. I, გვ. 195

არც უწიგნობა ვარგა და არც
მარტო წიგნებიდამ გამოხედვა.
ტ. II, გვ. 291

არცა უსჯულო იკადრებს უმუხ-
თლოს მისსა ძმობილსა.
(მუზეუმი, ი. ჭ. ფ. S 5934)

ალდგენა ისტორიისა, ერის გა-
მოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწ-
მყოს გაგება და წარმართვაა,

მერმისის გამოკვლევაა სიძნელი-
საგან. ტ. IV, გვ. 20.

ბ

ბოდიში ძნელად თუ მოარჩენს
ჰოგრეხილს კისერსა, — და არც
მოტეხილი ფეხისათვის არის უე-
ბარი წამალი. ტ. II, გვ. 126

ბრძენი არც იშვებს ფრიადა.
არც დია შეწუხდებისა. ტ. IV, გვ. 222

ბუისაგან ნუ გამოელით ბოლო-
კარკაზის ბუდესა. ტ. I, გვ. 116

გ

გებრალებოდეს, ნუ ჰრისხავ
კაცს შენზედ შურით მწდომსაო.
კეთილი ფარად უფარე შენთვის

ბოროტის მდომსაო, მადლისა წყაროს ასმევდე ცოდვის გუბეში მდგომსაო. ტ. I, გვ. 107

დ

დამალული ჭირი ძნელია, პირდაპირ მოსულს კიდევ როგორც იქნება შეეჭიდება კაცი...

ტ. II, გვ. 275

დედაც კაციაო გვეუბნება ჩვენი ენა, და მამაცაო. ტ. III, გვ. 427

დედის გული ზღვა არის სიყვარულისა, რომ უთხრა, შვილი რომ უკვდებოდეს, ორის დღის სიცოცხლე კიდევ მიემატება შენს შვილსაო, ოღონდ სული საუკუნო ჯოჯოხეთს მიეცო, — დედა

მაგას იქს, შვილმა კი დედისა-
თვის რომ ეგა ქნას, დედა იწყენს.

ტ. II, გვ. 72

დედა — შვილური სიყვარული
მძლეთა-მძლეა. ტ. II, გვ. 278

დიდი და პატარა სულ ერთია,
ოღონდ კაცმა იმას მიჰმართოს,
იმას ჩაჰკიდოს ხელი, რაზედაც
გული მიუწევს და ნიჭი და უნა-
რი მიუწვდება. ტ. IV, გვ. 246

დიდი საქმეა მარტო უტყუარი
ნიშანი თითონ მოსაქმის დიდ ბუ-
ნებოვანობისა. ტ. IV, გვ. 241

დროს ჰსჭვრიტე, ჟამთა რა მო-
აქვს? რას ისხამს, რა მოისთვლე-
ბის! ტ. V, გვ. 334

დიდი სიბრძნეა კაცისა ცნობა თავისის-თავისა. ტ. III, გვ. 389

დროზე ნახმარი ფარიცა იგივე ხმალი არის. ტ. I, გვ. 106

დღეს ცარიელი მკლავი იმოდენად ველარა სჭრის, რაც სავსე ჯიბე; ტ. I, გვ. 310

ე

ენას ბრწკალი არ მოედება.
ტ. IV, გვ. 52

ენამ გულისა უნდა თქვას; ფერუმარილი რა საჭიროა.
ტ. II, გვ. 283

ერთი მაქვს — სჯობს ათასს გქონდა-ს.
ტ. IV, გვ. 89

ერი, ერთის ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული — ერთსულოვნებით, ერთგულებით ძლიერია. ტ. IV, გვ. 9

ესეც კი ითქმის: კაცსა რა აუხდეს ნატვრა გულისა, ხსოვნა არა ჰხამს ჭირისა, ვით დღისა გარდასულისა. ტ. I, გვ. 122

ეს წუთისოფელი ცოდო და მადლის ჭიდილია, სხვა არაფერი. ტ. II, გვ. 277-278

3

ვაჟკაცს ცრემლსა რად უძრახვენ! რკინაც სტყდება, რომ სცემს

გრდემლი... კაცთ და პირუტყვთ
გასარჩევად ღმერთმა შეჰქმნა
მარტო ცრემლი. ტ. I, გვ. 107

ვაჟკაცად იმას არ ვაქებ, ვინცა
სისხლისა მღვრელია, ვაჟკაცად
იგი მიქია, ვინაც უბედურთ მხსნე-
ლია. ტ. I, გვ. 107

ვერ დაინახვს უტვინო თავისას,
ვერცა სხვისასო. ტ. III, გვ. 382

ვინც შინიდან გარეთ ფეხს გა-
მოჰყოფს, იმაზედ ცუდსაც ბევრს
იტყვიან და კარგსაც.
მუზ. ბ. ჯორჯანელი

ვინც თვითონ [illegible] სა-
ხელს, იგი [illegible] იმა-
ზე, ვისაც სახელი მამა-პაპაგან
რჩენია და [illegible] ტ. IV, [illegible]

ვინც ორი მარცვალი მოიყვანა იქ, საცა მანამდე მარტო ერთი მარცვალი მოდიოდა, იგი ერთს უდიდეს სამსახურს უწევს კაცობრიობას. ტ. IV. გვ. 245

ვინც კაცად არ ვარგა, ის არც მამად ივარგებს, არც დედად და არც სხვად რადმე; იმიტომ, რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება არ არის.

ტ. IV. გვ. 367

ვინც ლაფში თავიდან ფეხამდე ამოსვრილია, არ შეიძლება ისე შეეხოს სხვას, რომ თავისი ლაფი იმასაც არ მოაცხოს. ტ. III, გვ. 66

ზ

ზოგი ცოდოს იკიდებს ზურგ-ზედ და ტყვიასავით მძიმეა, ზოგი მადლს და ბუმბულივით მსუბუ-ქია. ტ. II, გვ. 278

ზომას გადამეტებული პურის ჭამაც კი მაწყინარია. ტ. VII, გვ. 101

ზოგი საგანია, რომ თუ არ დაი-ნახე, ვერ ირწმუნებ, და ზოგი-კი იმისთანა, თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ტ. IV, გვ. 252

ზოგჯერ მოკლე სიტყვაც გრძე-ლია. ტ. II, გვ. 297

თ

თავისუფლების შოვნაი სჯობს საშოვნელსა ყველასა. ტ. I, გვ. 154.

თითო-ოროლა კაცი მრავალთა შორის ზღვაში დაცემული წვეთია.
ტ. VII, გვ. 272.

თუ სათავე მღვრივეა, ბოლოში ამაო იქნება წმინდა წყლის ძებნა. ტ. III, გვ. 14

თუ სამართლიანი ხარ და კაცთმოყვარე, მაშინ ყველაფერი ხარ, სავსე კაცი ხარ... ტ. IV, გვ. 299

თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გაძლიერების გზაზე არა სდგას, იგი ლონემიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავს და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. ტ. VII, გვ. 40

თუ ჟამს ხელთ აქვს ისარიო,
შენცა ხელთ გქონდეს ფარიო.
ტ. V, გვ. 334

თუ წუთისოფელს ერთს ბეწო
ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთე-
ლავს, როგორც დიდოელი ლეკი
ნაბადსა. ტ. II, გვ. 253

თუ სახელის შოვნა გინდა, დღეს
ისეთი ნერგი დარგე, რომ ხვა-
ლემა მადლობით სთქვას: ნანერ-
გითა შენით მარგე. ტ. I, გვ. 106

თუ თვით არ ვიღწვით, ვერ
ვპოვებთ კეთილსა შესაკრებელსა.
ტ. VIII, გვ. 201

თუ გაჭირვებაა, კაკლის ნაჭუჭ-
ში უნდა დაეტიოს კაცი, არამც-
თუ სამ ოთახში. მუზ. ი. ჭ. ფონდი

თქმული კაცმა თქმულად მი-
ილოს და არ იფიქროს, რომ
თქმულს აქეთაც გადაეხვევა და
იქითაც. მუზ. ი. ჭ. ფონდი

ი

ის იცინის კარგად, ვინც ბო-
ლოს გაიცინებსო. ტ. VII, გვ. 33

ისევ გონებაგანუვითარებელი
და ზნე-ხასიათით გაწვრთნილი
კაცი სჯობია, ვიდრე გონება-
განვითარებული და ზნე-ხასიათ
გაუწვრთნელი. ტ. IV, გვ. 293

კ

კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს
წესი წესად დარგე ყოველ დღესა
შენს თავს ჰკითხო, — აბა დღეს
მე ვის რა ვარგე? ტ. I. გვ. 107

კაცმა რომ მოინდომოს, კლდეს გაარღვევსო. ტ. II, გვ. 56

კაცი სხვის მარგეც უნდა იყოს და თავისთავისაც. ტ. V. გვ. 289

კაცი მარტო მაშინ არის ხერხი, როცა ცოდნა აქვს, როცა ჭკუა ცოდნით გაულესია, ცოდნის ჩარხზე გაუჩარხავს. მაშინ ხერხსავით სხვისთვისაც გააქვს და თავისთვისაც შემოაქვს. ტ. V, გვ. 289

კარგია გაღვიძებული ადამიანი!.. მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-აღტკინებულსა. ტ. II, გვ. 23

კმაყოფილება კაცის მომაკვდინებელი სენია. ტ. II, გვ. 192

ლ

ლიტერატურა თავისის ფართო მნიშვნელობით, გონების ნაჭირნახულევი ხვავია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. ტ. III, გვ. 152

ლუკმა მაშინ არის ტკბილი, როცა კაი კაცობით არის ნაშოვნი. ტ. II, გვ. 54

მ

მადლი ერთისაგან გაწირვაა და მეორისაგან შეწირვა ერთსა და იმავე დროს. თუ ან გამწირველი

არ არის, ან შემწეველი, მადლიც არ არის, მაშასადამე გულიცა. ტ. II. გვ. 313 — 314

მარტო იგი შრომაა, იგი გარჯაა ნაყოფიერი, რომლის საძირკველიც ანუ სათავე საკუთარი თაოსნობაა, და ძალ-ღონე კიდევ საკუთარი მარჯვენა. ტ. VII, გვ. 344

მაშ მამულს თავი შევწიროთ საშველად, გამოსახსნელად, თუ მისთვის დავიხოცებით, ჩვენ ის გვეყოფა სახელად. ტ. I, გვ. 154

მას დედის ძუძუ ტკბილი შხამადაც შერგებია, მამულისათვის სიკვდილი ვისაც დაზარებია!..

ტ. I, გვ. 45

მარტო შენი მტერი დაგიმალავს, შენს სახეზედ რომ ურიგობა ჰნახოს რამე, მოყვარე კი მაშინვე სარკეს მოგიტანს, რომ გაისწორო და ხალხში არ შერცხვე. ტ. II, გვ. 223

მარტო პირუტყვი იყურება დაბლა. ტ. II, გვ. 55

მზე რას უზამს იმოდენას დამზრალს ყვავილსა, რაც თბილი სიტყვა დაჩაგრულ გულსა!
ტ. II, გვ. 68

მეზობლის უბედურებაზე ჩვენი ბედნიერება ვერ დაფუძნდება, ვერ აშენდება. ტ. VII, გვ. 271

მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო

იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდამ ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთ. ტ. III, გვ. 12

მინამ ენა იტყვის, ჭკუა ურჩევს, გულმა იცის რა ქმნას. ტ. II. გვ. 295

მართლმსაჯულებას გახურებული რკინის თვისება აქვს. იგი სწვავს, როცა სუსტ მხარეს შეეხება ხოლმე. ტ. VII, გვ. 388

მოკვდა და თავის ანდერძით აწ ისევ ჰსაქმობს მკვდარიო.
ტ. IV, გვ. 270

ნ

ნეტავი იმასაო — ამბობს ერთი ძველად-ძველი ბრძენი, ვინც არამც თუ ჩვენთან ყოფნით

გვწურთვნის ჩვენ, არამედ მარტო თავისის სახელის ხსენებითაც.

ტ. IV, გვ. 251

ნუ მოგაქვს თავი იმით, რომ ძალა ალმართის მხვნელია.

ტ. I, გვ. 200

პ

პატიოსანთ მტერთა შორის მოციქული ნამუსია. ტ. I, გვ. 106

პატარა ნიჩაბითაც ბევრი რამ გაკეთდება და ძალიან შესაძლოა ცოტცოტაობისაგან დიდი საქმე გამოვიდეს. ტ. VII, გვ. 42

პირში ქებას ჭკუადამჯდარ კაცის თვალში დამპალი კიტრის ფასი აქვს. ტ. VIII, გვ. 290

პირში მაქებარს თავის-თავის პატივისმცემელი კაცი აი რას ეტყვის ხოლმე: — ეგ ქება შენთვის შეინახე, სხვაგან გამოგადეკება.

ტ. VIII, გვ. 290

პაწია ყრმავ, ეხლა როცა პირველად მოსდიხარ ქვეყანასში, შენ სტირი და შენს გარშემო — კი ყველას სიხარულის ლიმილი მოსდის, იყავ ისე, რომ, როცა ქვეყანას ეთხოებოდე ყველანი სტიროდნენ და მარტო შენ კი ლიმილი მოგსვლოდეს.

ტ. IV, გვ. 250

პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთივ რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არის,—

რადგანაც იგი მოვლენილია, რომ ჭრილობიდამ სისხლის შეუწყვეტელი დენა კაცთა სიცოცხლეს შეუყენოს. ტ. III, გვ. 250

რ

რასაც არაფერი ეშველება-რა, კაცი არ უნდა აეთრევინოს.

მუზ. ი. ჭ. ფონდი

რასაც თვითეული ცალკე ვერ შევძლებთ, ამას საზოგადოებრივად, ერთად ადვილად შევძლებთო. ტ. IV, გვ. 322

.

რასაც თვითონ არ ვიმოქმედებთო, სხვისაგან ბევრს ნურას ველოდებითო. ტ. IV, გვ. 322

რაც კარგია — თავისთავად დიდია. ტ. II. გვ. 294

რა ქმნას კარგმა მონარდემა, დროზედ შაში თუ არ მოვა.
ტ. VII, გვ. 273

რა გინდ დიდი გაჭირვებაში ჩავარდეს კაცი, ერთადერთი გზა ხსნისა კაცის საკუთარი მხნეობა და გამრჯელობაა. ტ. VIII, გვ. 301

რა გინდ რომ ქერქი შეიძროს, გველი აგრეთვე გველია.
ტ. II, გვ. 264

რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მჭრელი, თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება? ტ. I. გვ. 14

რაც ცხავია ხვავისათვის, ისიც კრიტიკა ლიტერატურისათვის.

ტ. III. გვ. 152

რაც გინდა პატარა იყოს სამშობლო ქვეყანა, — პატიოსანს გულში დიდი ადგილი უჭირავს.

ტ. IV, გვ. 249

რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს — ეგ ვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, — ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!

ტ. I, გვ. 164

რაც უნდა გაუნათლებელი ხალხი იყოს, ოღონდ აჩვენეთ, რომ იმის სატკივარს საიდამ ეშველება, და გვერწმუნეთ, რომ დიდი და პატარა კარზე მოგაწყდებათ.

ტ. VII, ვვ. 262

სანთელს კიდევ იმაში ჰგავს ცოდნა, რომ თუნდაც ცოტად ბჟუტავდეს შორს სადმე ბნელაში, ქურდს, მპარავს, მტერს აფრთხობს, იქ სინათლეა,—სჩანს ჰლვიძავთო, და დაგვიანებულს მოყვარეს კი ახარებს კიდევ იმით, რომ იქ ღვიძილია, მღვიძარები დამხვდებიანო. ტ. V, გვ. 290.

სანთელს ცოდნა მარტო იმაში არა ჰგავს, რომ სანთელი, როცა იქნება, ჩაიწვის და გაჰქრება ხოლმე; ერთხელ ანთებული ცოდნა კი თავის — დღეში არა. მამიდამ შვილზედ გადადის, შვილიდამ შვილის-შვილზედ, უფრო

გადიდებული, უფრო გაძლიერებული. ტ. V, გვ. 290

საცა თვითმოქმედება გაღვიძებული არ არის, იქ კერძო კაციც ცალკე და საზოგადოებაც საერთოდ ფერმკრთალია, ულონო და ცოცხალ-მკვდარია. ტ. VII, გვ. 344

საცა სარფაა, იქ მხნეობაც და მეცადინეობაც არის; ტ. VII, გვ. 245

საცა შენი ხელი მისწვდა კლდეც იქ აჰყვავდაო! ტ. IV, გვ. 240

სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ტ. III, გვ. 34

სიკეთით სძლიე შენს მტერსა, ერიდე სისხლით ზღვევასა: სულგრძელობითა ძლევა სჯობს ვაჟკაცობითა ძლევასა. ტ. I, გვ. 107

...სიხარული, ბედნიერება, იგივე სიცოცხლეა, მხოლოდ ხანმოკლე და შეურჩენელი. ტ. II, გვ. 309

სიტყვა თქმაა და არა ქმნა. თქმისა და ქმნის შუა დიდი ზღვარია. ტ. V, გვ. 133

სიყვარული ბრძანებით არ მოდის. ტ. II, გვ. 318

სწავლა, ცოდნა, მეცნიერება— ლონეა იმისთანა, რომელსაც დღეს წინ ვერაფერი ვერ უდგება: ვერც მუშტი, ვერც ხმალი, ვერც ჯართა სიმრავლე. ტ. V, გვ. 20

სხვა შენთვის და შენ სხვისთვის, აი გზა ცხოვრებისა.

ტ. II. გვ. 75

სხვის გულში — მართალი ადვილი საპოვნელი არ არის.

ტ. II, გვ. 312

სჯობს სიგლახაკე სიმართლით, ცრუს დიდსა გამდიდრებასა.

ტ. IV, გვ. 222

ტანთ მოიკელ, ფეხთ მოიკელ, მშიერ-მწყურვალი იარე და ნუ ჩასდგები კი ჯერ შვილისა და მერე ქვეყნის ცოდვაში, — აი რა უნდა ეწეროს გულის ფიცარზედ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც მამაშვილობას ეძახიან. ტ. IV, გვ. 365

ტყუილად კი არ ეძახიან მიწას, „დედაო“, ის გვაწოვებს ჩვენ

ჟუძუსა, იმას დავხარით დღე-და-
ღამ, ჩვენი ჭირიც და ლხინიც ის
არის. ტ. II, გვ. 50

უ

უნებურს გემოს სჯობია ნებითა
უგემობანი. ტ. IV, გვ. 222

უსხვისოდ ერთის გული მარტო
ბარკია, სისხლის ალებმიმცემი აგე-
ბულებისათვის. ტ. II, გვ. 314

უწიგნოდ თვალთახედვის ისარი
ბოკლეა და მარტო წიგნითაც
საკმაოდ გრძელი არ არის.
ტ. II, გვ. 291

უფროს-უმცროსობაში სიყვა-
რული სიზმარია. ტ. II, გვ. 40

უფულო ერი ერთა შორის და უფულო კაცი ადამიანთა შორის ყმაა ფულიანისა. ტ. VII, გვ. 40

უჭკუო კაცის სიკეთე, ვაი რა ცარიელია. ტ. III, გვ. 391

ფ

ფული რამდენადაც ბევრია, იმოდენადაც ხარბია და გაუმაძღარი. ტ. VII, გვ. 271

ფეხს ვერ გასძრავთ, თუ საკუთარის ტვინის ძაფები არ ამოქმედეთ, თუ საკუთარი გრძნობა და ჭკუა არ წაიმძღვარეთ, თუ საკუთარი მსჯელობა არ იქონიეთ!.. ტ. III, გვ. 154

ფიქრი, რაკი ერთხელ ასე თუ ისე გამოიკვანძა, თოვლის გუნდასა ჰგავს, მთის წვერიდან და-

ქანებულს: რაც დიდ მანძილზე მიჰგორავს, უფრო ძლიერდება, უფრო ჰმატულობს, უფრო ჰდიდდება. თუ კაცმა არ დააყენა, ზვავად იქცევა და სხვას ყველაფერს თან გაიტანს. ტ. II, გვ. 276

ქ

ქართველს კაცს არც ქარის შემოტანილი უნდა და არც გატანილი; ტ. II, გვ. 128

ქვეყანაზე რომ ჭირი არ იყოს, ადამიანი ენასაც არ ამოიდგამდა. ტ. II, გვ. 283

ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე გონებაგახსნილი, გულგანათლებული კაცები არა ჰყავს. მუზ. ი. ჭ. ფონდი

ქვეყანა იმისია, ვისაც ერთს ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში გუთანი. მარტო ხმალი, მართალია, თავისითაც ძლიერია, მაგრამ ვერსად ხანგრძლივ ფეხს ვერ მოიკიდებს, თუ ამხანაგად გუთანი არ იყოლია. ტ. V, გვ. 122

ქვეყანაზე ბევრი რამ არის უწიგნოდაც ნასწავლი, ამაებსაც ცოდნა უნდა. ტ. II, გვ. 291

ქართველებისათვის „დედა“ მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლს ენასაც „დედა-ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს — „დედა-ქალაქს“. მკვიდრს და დიდბოძს სახლისას — „დედა-ბოძს“. უდიდეს და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს —

„დედააზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც — კი — „გუთნისდედას“, რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გალონიერებული, და თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც — კი აღნიშნულია დედობით, ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელმა! სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“?!

ტ. III, გვ. 429

ლ

ლონიერი და ჭირთა მძლევი ის არის, ვისაც ჭკუა ცოდნით მო-

ურთავს, ცოდნით აუყვავებია. ცოდნის ძუძუთი გაუზრდია.

ტ. V, გვ. 289

ღობე-ყორეს მოდება ღალატია საქმისა. ტ. VII, გვ. 353

ღმერთმა ნუ ჰქნას დრო მოვიდეს, ხილად ვხადდეთ პანტის ჩირსა. ტ. I, გვ. 123

ღონე ქვეყნისა მარტო ნიჭიერი და მხნე კაცია. ტ. IV, გვ. 248

ყ

ყველა კაცმა, რომ იგი სიკეთე ჰქმნას, რის შემძლებიც არის, ქვეყნიერებაზე უბედურნი აღარ იქნებიან. ტ. IV. გვ. 248

ყველა გონიერი კაცი, თუნდა უწიგნოც, ზოგჯერ მწიგნობრისთვისაც კი ოსტატია. ტ. II, გვ. 291

ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის-დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელად. ამ აზრის უკვდავებაში არის მთელი იმედი კაცობრიობის უკვდავებისა. ტ. III, გვ. 58

ყოველგვარი სიყვარული,—დედა-შვილურია, თუ სხვა, — მაინც ფრთხილია და მშიშარა.

ტ. II, გვ. 276

შ

შენ რომ ცუდკაცობდე, კაიკაცობაზედ სხვას მაინც ნუ გალანძღავ. ტ. II, გვ. 293

შუბი დიდია და მძლავრი, სისხლმღვრელი, სისხლის მსმელია, წყნარი, პაწია ნემსი კი შიშველ-ტიტველთა მცმელია.

ტ. I, გვ. 106

ჩ

ჩემი მსაჯული ჩემი ტვინია და ის პატარა ღმერთი, რომელსაც სინდისს ეძახიან.

მუზ. ი. ჭ. ფონდი

ჩვენ ვთაკილობთ და არა გვჯერა, რომ ყველა გონიერი კაცი იგივ წიგნია. ტ. II, გვ. 291

ც

ცოდნა იმითაა კიდევ კარგი, რომ იმან უფროს-უმცროსობა არ იცის... ყველას ერთნაირად მოუხდება, ყველას ერთნაირად და-

ამშვენებს ხოლმე, ოღონდ კი კაცი გულმონდომილი და მოწადინებული მივიდეს ცოდნის კარამდის.

ტ. V, გვ. 290

ცოდნა ხომ ხერხია, მაგრამ თითონ, თავის-თავადაც სიმდიდრე არის, მერე იმისთანა, რომ კაცი საცა წავა, თან მისდევს უხარჯოდ და უბარგოდ, ვერცა ვინ მოჰპარავს, ვერცა ვინ წინ გადუდგება. ეხლანდელ დროში ცოდნა ყველაფერია: ფულზედაც უფრო დიდი ბაზარი აქვს, ხმალზედაც უფრო მეტადა სჭრის და ზარბაზანზედაც უფრო ძლიერია.

ტ. V, გვ. 289

ცოდნა უძლეველი ფარია არსებობისათვის, ბასრი ხმალი მოგერიებისათვის. ტ. V, გვ. 20

ცოდნა ანთებულს სანთელსა ჰგავს: ერთს სანთელზედ რომ ათასს სხვა სანთელს მოუკიდო, სანთელს იმით არც ალი დააკლდება, არც სინათლე, არც სიცხოველე. პირიქით, იმატებს კიდეც, რადგანაც ერთის მაგიერ ათასი სხვა სანთელი იმასთან ერთად დაიწყებს ლაპლაპს. ტ. V, გვ. 290

ცხოვრება, როგორც ყოველი მოზარდი არსება, იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე ჭკნება; მის ნაყოფის თესლზედ ამოდის სხვა, ახალი ცხოვრება, რომელიც ისევ ისე მიდის თავის განვითარების გზაზედ, როგორც პირველი. ტ. III, გვ. 463

წ

წინა — კაცსა უკან მომდევარი იმისათვის უყურებს, რომ ვინიცობაა, წინამ ფეხი წამოჰკრას, და ყირაზე გადაიაროს, უკანამ ნახოს და იმ გზას შორს მოუაროს. ტ. III. გვ. 12

წარსული — მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა. ტ. IV, გვ. 200

წუთისოფელი ზოგისთვის მამაა, ზოგისთვის — მამინაცვალი. ტ. II, გვ. 323

ჭ

ჭკუამ სთქვა: წუთის — სოფელსა ალმართი მე ვახვნევინე, თესლი

მოვკრიბნე და ხნულში დავთესე, დავაბნევინე, ულონოს ლონე მე მივეც, ხელი მე გავაქნევინე.

ტ. I, გვ. 108

ჭეშმარიტ ლირსებას ყვირილი არ უნდა. ტ. VIII, გვ. 419

ჭირში გატეხა არ უნდა, თუ კაცი გონიერია, წავა და ყველგან დარჩება ქვეყანა ლონიერია.

ტ. I, გვ. 122

ხ

ხელი მიეც შენს მეზობელს, შეერთდით, ერთად იმუშავეთ, თუ გინდათ ქვეყანაში რიგიანად იცხოვროთ. ტ. VII, გვ. 271

ხეს ვერ გაზრდი იმ დროზედ ადრე, რაც ბუნებას დაუნიშნავს.

ტ. VII, გვ. 329

„ხე ცხოვრებისა—ამბობს ერთი ჩვენის დროების ფილოსოფოსი—და ხე ცნობადისა ერთს ძირზედ ამოდიან, მხოლოდ იმათი აღყვავება სხვადასხვა დროს მოდის. როცა ცხოვრების ხეზედ ყვავილი ჭკნება, მაშინ ცნობადის ხეზედ მწიფდება ნაყოფი, და ამ ნაყოფის თესლი აღმოშობავს ხოლმე ცხოვრების ხეზედ ახალ ყვავილებსა“. ტ. III, გვ. 59

ხვალე არ უნდა ჰგავდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მიაჩნია. ტ. V, გვ. 187

ხვალე დღევანდელს უნდა სჯობდეს, მერმისი აწინდელს. კანონი განვითარებისა და ბედნიე-

რების იმედისა იმაშია და სხვა
არაფერში. ტ. V, გვ. 137

ხმალი იმოდენს ვერას იქმს
მრისხანე და ძლიერით, რასაც
იქმს მშვიდობიანი კალმის პატა-
რა წვერით. ტ. I, გვ. 106

ხმალი მაშინ უფრო კარგია,
როცა იგი ფარია და არა სატე-
ვარი. ტ. V, გვ. 123

სხვა და სხვა

მეფე ერეკლე მეორეს ჰხლებოდა ერთი ღარიბი მოხუცებული დედაკაცი და მოწყალება ეთხოვნა.

— სხვისა მამავ და ჩემო მამინაცვალო, ერთხელ ჩემკენაც მოიხედეო, — ეხუმრა დედაკაცსა.

— რა არის, ამოდენა ხანიან სულ მოწყალებაზედ დადიხარო,— ეგრძანებინა ხუმრობითვე მეფეს, — განა შვილები არა გყავსო?

— მაშ რის დედაკაცი ვიქნები, რომ შენთვის ყმა არ გამეზარდოს, შვიდი შვილი გაგიზარდეო!

— არა გრცხვენიან, დედი, შვიდის შვილის პატრონი და საგლახაკოდ დაიარებიო!?

— ვიშ, შენი კვნესამე! ნეტავი ერთი მყავდეს და შენისთანაო.

* * *

მეფე გიორგი მეცამეტეს ერთი კარისკაცი ჰყოლია. თუმცა ხნით მეფეზედ უფროსი ყოფილა, მაგრამ წვერ-ულვაშში ერთი ჭალარაც არა რევია თურმე. ერთხელ მეფეს იმისათვის ებრძანებინა:

— ერთი მითხარ რისგან არის, რომ მე ამოდენა ჭალარა გამომერია, ლამის სულ გავთეთრდეო და შენ კი, ჩემზედ უფროსს, ეგრეთ შავად შეგაბერდა თმა და წვერ-ულვაშიო?

— წესიც ეგრეა, ბატონო! — თქვენ ხელმწიფე ბრძანდებით. პირნათლად უნდა სუფევდეთ, და მე კი თქვენი ყმა ვარ, პირშავადაც რომ ვიყო, არა მიშავს რაო.

* * *

ერთხელ მეფე ერეკლე მეორე მიბრძანდებოდა თურმე ქალაქიდან კახეთს და თან, რასაკვირველია, ამალა ხლებია.

მზე დაწურვაზედ ყოფილა, როცა მეფე მიბრძანებულა საგარეჯოს ბოლოებზედ, დაუნახავს, რომ ერთს ყანაში დიდძალი მუშა დგას და მკის. იკითხა — ეს ამოდენა მუშა ვისიაო. მოახსენეს — აქ საგარეჯოში ერთი შეძლებული გლეხია და იმისი მამითადიაო.

— შაბაშ გლეხსაო, — ბრძანა თურმე და იმისი ვინაობა იკითხა. მოახსენეს ვინც არის და თან დაატანეს: ასეთი ხელმოჭერილი რამ კია, რომ პურს არავის აჭმევს. თუ არას გამორჩაო.

შეაყენა მეფემ ცხენი და უბრძანა: თუ აქ არის ის გლეხი, აქ მომიყვანეთო. მოიყვანეს. მეფემ უბრძანა: ვახშმად ჩემის ამალით შენი სტუმარი ვარო.

— მობრძანდი, შენი ჭირიმე!— უპასუხა გლეხმა: — მაპატიე კი, აქ სამზადისი არა მაქვს, შინ მეწვიეო.

მეფემ ნება დართო. გლეხი გადაჯდა ცხენზე და ჭენებით წინ წავიდა. ვიდრე მეფე სოფელში ამობრძანდებოდა, ჩამოლამდა კი-

დეც. გლეხი წინ მიეგება, მიიწვია მეფე მიწურის სახლის ბანზედ, რომელიც თავიდამ ბოლომდე საფენით მოეფინა კიდეც.

ძალიან კარგად დაჰხვდა თურმე მეფესა და იმის ამალასაც.

როცა მეფემ ვახშამი მიირთო, წასვლა დააპირა და ცხენები მოითხოვა. მოართვეს ცხენები. გლეხს მადლი უბრძანა და ზედ დაატანა:

— აკი, შვილო, შენ პურს არავის აჭმევ ისე, რომ არას გამორჩეო?

— მაინც ევრეა, შენი ჭირიმე! — უპასუხა თამამად გლეხმა, — მართალი მოუხსენებიათ.

— როგორ? აბა დღეს მე რას გამომრჩი?

— აი ბანზედ მიწა ახლად დაყრილია. ამის დატკეპნას კარგა მუშა მოუნდებოდა და მე მეტი გამორჩომა რად მინდა, რომ ჩემმა ბატონმა და ამოდენა დიდებულმა ხალხმა თავისის საკუთარის ფეხით დამიტკეპნესო.

მეფეს მოეწონა ეს მოსწრებული სიტყვა, გაეცინა და ხალათი უბოძა.

* * *

მეფე გიორგი მეცამეტე ერთ დროს ყაზახ-ბორჩალოს მიბრძანებულა და სწვევია ერთ დარბაისელს, საქართველოს ერთგულს მოხუცებულს აღალარსა. ჩამოვარდნილა ლაპარაკი ცხენებზე და მეფეს უკითხავს აღალარისათვის:

— ყაზახ-ბორჩალოს ცხენი უწინ განთქმული იყო მთელს საქართველოში, ახლა კი იმისთანა ცხენები აღარ გამოდიან. რა იქმნენ ის უწინდელი ცხენებიო?

— იმ ცხენებზედ ის უწინდელი ქართველები შესხდნენ და წავიდნენო, — უპასუხა გულამოდომით მოხუცებულმა აღალარმა.

ერთს აქაურ ფრანგ ვაჭარს ჰკითხეს:

— ნისია ბევრი გაქვს ქართველებზედაო?

— ბევრიო,

— სომხებზე?

— არც იმათზე მაქვს ცოტაო.

ვინ უფრო მეტი სანდოაო?

— აბა როგორ გითხრათ: ქართველი, სწორედ რომ ვსთქვა,

უფრო ნამუსიანია და სომეხი კი უფრო წესიერი.

— როგორ?

— ასე: სომეხს თუნდა ჰქონდეს, სულ იმის ფიქრშია, როგორ მოვახერხო რომ არ მივცეო, და როცა მეტი გზა არ არის — იძლევა; და ქართველი კი სულ იმის ფიქრშია, როგორ მოვახერხო რომ მივცეო, და როცა აქვს — მოუცემელს არ გაუშვებსო.

ი. ჭ. ტ. II, 575

სიტყვამ მოიტანა და ერთმა პოსლიკა კაცმა ერთს საზოგადოებაში სთქვა: — დედაკაცს თმა გრძელი აქვს და ჭკუა მოკლეო.

ერთმა იქ მყოფმა ქალმა უპასუხა:

— თქვენ რომ თავზე არც გრძელი თმა გაქვსთ და არც მოკლეო, თქვენი ჭკუა როგორღა მოვიკითხოთო. ტ. II, გვ. 575

რედაქტორი გ. ნატროშვილი

ტექრედაქტორი ავ. ღამბაშიძე
კორექტორი ავ. ღამბაშიძე

გადაეცა წარმოებას 18/XI-1962 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად
21/XI-1962 წ.
ანაწყობის ზომა 3×5, ქაღ.
ზომა 70×108/64, საავტორო
ფ. რაოდენობა 1,
უფ 09647, ტირ. 65.000, შეკ. 1030.
ფასი 15 კაპ.

„ლიტერატურული გაზეთის“ გამოცემა.
თბილისი — 1962

საქ. სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფგამომცემლობის სტამბა № 1,
თბილისი, ორჯონიკიძის ქ. № 50.

Типография № 1 Главполиграфиздата
Министерства культуры Грузинской ССР.
Тбилиси, ул. Орджоникидзе, № 50.

Илья Чавчавадзе

СХАРТУЛА

(На грузинском языке)

Составил Борис Ильич Канделаки